ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2608137

ნომერი: AR1398802

თარიღი : 21.04.2016

გაცემის თარიღი : 20.05.2016

გაცნობის თარიღი : 20.05.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N65-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , 67-ის მიმდებარედ. / ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 65 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლადო წერეთელი პ/ნ 01024018854
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 38 ბ. 3

ორგანიზაცია:
- შპს კენ.კონსტრაქშენ კოდი: 405038418

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- მიშენება ან მიშენება - დაშენება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური (კომერციული, სასტუმრო, საცხოვრებელი, საოფისე) შენობა.
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ზურაბ ბოკუჩავა
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს ''არდუ''
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 201954215

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N65–ის მიმდებარედ/კოსტავას ქ. N67–ის მიმდებარედ/კოსტავას ქ. N65–ში არსებულ შენობაზე მიშენება–დაშენების არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხი განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N18, 05.05.2016 წ), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი რეკომენდაციით: " წარმოდგენილი იქნეს შენობის საცხოვრებელი ფუნქციით დატვირთვის მიზანშეწონილობის დასაბუთება, რადგან გასათვალისწინებელია ძალიან დატვირთული ურბანული გარემო, რომელშიც აღნიშნული შენობა დგას. გათვალისწინებული იქნეს ავტოტრანსპორტის პრობლემა. გადაიხედოს შენობის ფუნქციური დანიშნულება."

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ლ. წერეთელს უარი ეთქვას ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N65–ის მიმდებარედ/კოსტავას ქ. N67–ის მიმდებარედ/კოსტავას ქ. N65–ში არსებულ შენობაზე სართულისა და მანსარდის დაშენების და ეზოს მხრიდან საცხოვრებელი სახლის მიშენების წარმოდგენილი ესკიზის წინასწარ შეთანხმებას.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.